ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2019 წლის 6 ივნისი

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოსახლეობის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აპრილის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოსახლეობის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აპრილის №15 დადგენილებით (www.matsne.gov.ge; 24/04/2019 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.117.016447) დამტკიცებული დანართის:

ა) პირველ მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოსახლეობის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს რეგისტრაციის კრიტერიუმებს, პროცედურებსა და დროებითი საცხოვრისი ფართით დაკმაყოფილების პირობებს.

2. დროებით საცხოვრისს (შემდგომში – საცხოვრისი) წარმოადგენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება (შენობა-ნაგებობა), სადაც მოხდება უსახლკარო პირების შესახლება/განთავსება.“;

ბ) მე-2 მუხლის:

ბ.ა) მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) პირის ან/და მისი ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა – 1-2 ქულა;“;

ბ.ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის საცხოვრისით უზრუნველყოფა ხდება ფართის ოპტიმალური გადანაწილების პრინციპის საფუძველზე. ერთ ადამიანზე გათვალისწინებელი საორიენტაციო საცხოვრებელი ფართი შეადგენს 6 (ექვს) $მ^2$-ს. იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრისის არსებული ფართების რესურსი ოჯახის ყველა წევრისათვის არ შეესაბამება საორიენტაციო საცხოვრებელ ფართს, დასაშვებია ოჯახისათვის ერთზე მეტი საცხოვრებელი ფართის გამოყოფა.“;

გ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირმა, საცხოვრისის მიღების მიზნით, უსახლკაროდ რეგისტრაციისთვის განცხადებით უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტის მერს, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ა) პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/დაბადების მოწმობა ან პასპორტი) ასლი;

ბ) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (შშმ და სხვა) ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) განმცხადებლის ოჯახის წევრების დაბადებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;

დ) ცნობა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან“ ბენეფიციარისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე ქონების რეგისტრაციის არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ განმცხადებლისა და ოჯახის წევრების შემოსავლების შესახებ;

ვ) ფიზიკური პირის სარეგისტრაციო მონაცემების ამსახველი საინფორმაციო ბარათი სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტის (ფორმა №1) ასლი (თუ ბენეფიციარის პირადობის მოწმობაში არ არის დაფიქსირებული რეგისტრაციის მისამართი);

ზ) ცნობა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის წერილობითი დასტური სტატუსის შესახებ);

თ) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ.“;

დ) მე-5 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. დროებითი საცხოვრებლით სარგებლობის ვადა და პირობები“
მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე**